

კერძო სექტორში დასაქმებული 13%, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის 90 %-ს ქმნის

✘ ვინ ავსებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ვინ უხდის სახელმწიფო ბიუროკრატის ხელფასს, პენსიონერებს პენსიას და აფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს? ოფიციალური მონაცემების თანახმად ამ ყველაფერს საქართველოს მოსახლეობის 13% აკეთებს.

საქსტატის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა: 3,718,200 (100%), საიდანაც:

- 53.7% არის სამუშაო ძალა – 1,998,324
- 47.4% არის დასაქმებული – 1,763,264,
- 20.0% არის დაქირავებული – 745,362,
- 13.0% არის კერძო სექტორში – 483,152

გამოდის, რომ 13.0% ქმნის მთელი ეკონომიკის 90%-ზე მეტს. 13.0% იხდის 887,300 ადამიანის პენსიებს, არჩენს 262,210 საჯარო მოხელეს, ასწავლის 564,700 მოსწავდეს, 140,300 სტუდენტს და ა.შ..

სპეციალისტების შეფასებით, იმისათვის რომ ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალოს, აუცილებელია ეს 13 %-ი მინიმუმ გაორმაგდეს, ანუ გაიზარდოს კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. მათივე განმარტებით, ქართული ეკონომიკის სტაგნაცია გამომწვეურია ხერმისანვლომი იაფი ფურის არარსებობით და სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ საქართველოში კერძო სექტორი ვერ ვითარდება.

ეკონომისტები აცხადებენ იმასაც, რომ ფური, რომელიც კერძო სექტორის განვითარებას სჭირდება, დღეს მხოლოდ ბანკებს აქვთ. ბანკები კი ნომენკლატურულ – ელიტარული სისტემაა, რომელიც მხოლოდ საკუთარ მოგებაზეა ორიენტირებული. შექმნილ სიტუაციაში ერთ-ერთ გამოსავლად სპეციალისტები საინვესტიციო ფონდების და საფონდო

ბირჟის განვითარებას ასახელებენ, ისე როგორც ეს დასავლეთის ქვეყნებშია.

მათი თქმით, ჯანსაღი ეკონომიკისთვის აუცილებელია საბანკო სექტორი იზოლირებული იყოს სხვა სექტორებისაგან.

„ბანკებს პირდაპირი და უშუალო ინტერესი აქვთ, რომ სხვა სექტორში მოღვაწე კონკურენტი კომპანიები ჩაძირონ და გააკოტრონ, რათა საკუთარი გავრენა გაზარდონ,“ – აცხადებს ეკონომისტთა ერთი ნაწილი.

საბროკერო კომპანია „კავკასუს ჯგუფის“ დამფუძნებლის გოგი დოღაძის განმარტებით, კაპიტალის მოძიება ბანკების საქმე არ არის. კომპანიების და ეკონომიკის კაპიტალით მომარაგება საფონდო ბირჟებმა უნდა უზრუნველყონ.

„სწორედაც, რომ საფონდო ბაზარია იმის საფუძველი, რომელიც კომპანიების და ეკონომიკის კაპიტალით მომარაგებას უზრუნველყოფს. დღეს ქვეყანაში ეს რესურსი დეპოზიტების სახითაა საბანკო სისტემაში დარექირი. საბანკო სექტორი ეს ნასესხები ფურია, ხოლო კაპიტალი იმ თანხით ყარიბდება, რასაც ინვესტორები დებენ. ხშირად არასწორი წარმოდგენაა, რომ თითქოს საფონდო ბაზრების მეშვეობით დამწყები ბიზნესისთვის თანხების მოძიება შეუძლებელია, არსებობს პრეცედენტი, როდესაც ახრადშექმნილი ბიზნესები ამას ახერხებენ. ბანკებმა თავისი საქმე უნდა აკეთონ და ისინი საფონდო ბაზრის საქმეებში არ უნდა ერეოდნენ. რათა ინტერესთა კონფლიქტს ადვილი არ ჰქონდეს,“ – აცხადებს გოგი დოღაძე.

კერძო სექტორის განვითარების აუცილებლობაზე საუბრობს **ფინანსისტი გიორგი ჩუგოშვილიც**. მისი თქმით, ეკონომიკურ ღოვრათს ქმნის და გადასახადების იხდის ძირითადად სწორედ კერძო სექტორი.

„საქართველოში გადასახადების 90%-ს იხდის მოსახლეობის 13 %. აღნიშნული ციფრებიდან გარკვეული სახის დასკვნის გაკეთება შეიძლება, პირველი არის ის, რომ საერთო დასაქმებაში თვითდასამქებური ადამიანის წილი ძარიან დიდია. ეს ჩვენი ეკონომიკის დაბარი განვითარების მარვენებელია. 13%-ი ძარიან

დაბადი მარვენებეღია, მათ მიერ გადახდილი გადასახადების მოცულობა არ ყოფნის სხვა ყველა დანარჩენის დაფინანსებას. შესაბამისად სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობაც რთულია. ჩვენ მეტი ინვესტიცია და უკეთესი ბიზნესგარემო გვჭირდება. რა თქმა უნდა, კაპიტალის არსებობა საჭიროა. ყველა წარმატებული ეკონომიკა თავისუფალ საბაზრო პრინციპებზეა აწყობილი. საბანკო სექტორი კი ყველაზე კონსერვატული ფინანსური ინსტიტუტია,“ – აცხადებს ჩუგოშვილი.

ზურა ხაჭაპურიძე

commercant.ge